

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ალიგატორ ი.ს.“

ს/ნ 245630090

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით
დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2021

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით
დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	8
4. ძირითად დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	16
5. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	17
6. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

დირექტორი

სელმან ჭელიძე

მთავარი ბუღალტერი

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შინაარსი	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	472,096	353,605	25,390
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	469,328	527,444	674,256
გადახდილი ავანსები	272,608	262,953	415,984
წინასწარ გაწეული ხარჯები	49,469		
მარაგები	4,233,972	2,410,727	2,205,288
ზედმეტად გადახდილი გადასახადებ (წინასწარ გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები)	14,214	64,677	16,556
სულ მიმდინარე აქტივები	5,511,687	3,619,406	3,337,474
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	43,253	24,648	19,960
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ გრძელვადიანი აქტივები	43,253	24,648	19,960
სულ აქტივები	5,554,940	3,644,054	3,357,434
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	386,787	2,823	101,598
მიღებული ავანსები	78,339		
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	142	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	458,446	422,325	372,105
სხვა ვალდებულებები	199	21,798	14,527
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	923,913	446,946	488,230
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	923,913	446,946	488,230
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	1,586,521	806,521	886,521
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	3,044,506	2,390,587	1,982,683
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	4,631,027	3,197,108	2,869,204
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5,554,940	3,644,054	3,357,434

დირექტორი

სელმან ჭელიძე

მთავარი ბუღალტერი

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

საქმიანობის შედეგების მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში

შინაარსი	31.12.2020	31.12.2019
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	4,386,687	4,146,573
საწყისი მარაგები	(2,410,727)	(2,205,288)
შექმნილი ნედლეული და მარაგები	(5,289,860)	(3,706,761)
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	4,233,972	2,410,727
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(54,551)	(55,918)
ცვეთა და ამორტიზაცია	(8,650)	(4,350)
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	(34,123)	(31,567)
იჯარის ხარჯი	(85,088)	(83,962)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(83,741)	(61,550)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	653,919	407,904
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)	653,919	407,904
გაუნაწილებელი მოგება წილის დასაწყიში	2,390,587	1,982,683
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
გაუნაწილებელი მოგება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,044,506	2,390,587

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სელმან ჭელიძე

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

შინაარსი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
01.01.2019 წაშთი	886,521	1,982,683	2,869,204
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(80,000)	-	(80,000)
გაუნაწილებელი მოგება-ზარარი ზრდა/შემცირება	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		407,904	407,904
31.12.2019 წაშთი	806,521	2,390,587	3,197,108
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	780,000	-	780,000
გაუნაწილებელი მოგება-ზარარი ზრდა/შემცირება	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	653,919	653,919
31.12.2020 წაშთი	1,586,521	3,044,506	4,631,027

დირექტორი

სელმან ჭელიძე

მთავარი ბუღალტერი

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

შინაარსი	31.12.2020	31.12.2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	118,491	328,215
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტ	118,491	328,215
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	353,605	25,390
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	472,096	353,605

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სელმან ჭელიძე

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

დასახელება: შპს „ალიგატორ ი.ს.“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 245630090

საზოგადოების იურდიული მისამართი: ქ. ბათუმი იმედაშვილის ქ. N16

დაფუძნების თარიღი: 2009 წლის 07 დეკემბერი

დამფუძნებელი: 100% წილის მფლობელი ფიზიკური პირი სელმან ჭელიძე

ორგანიზაციის საქმიანობის სფერო: საბითუმო ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მოწყობილობებით და საკუთნოებით

შპს „ალიგატორ ი.ს.-ს ფინანსური ანგარიშგება შედგება ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებისაგან საანგარიშგებო პერიოდისათვის. საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

წარსადგენი ვალუტა: ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სელმან ჭელიძე

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

კომპანია ეწევა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შედგენას საქართველოში მიღებული ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. მოცემული ანგარიშგება სრულად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთა გამოყენება ფართოვდება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობას. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულად სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტის შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, ამონაგების აღიარება ხდება დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მოეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სელმან ჭელიძე

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირებისგან განსხვავებული უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხის და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მიმწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საცხოვრებელი ბინის მიწოდების შემთხვევაში, სადაც ანგარიშსწორების ფულად ერთეულად განიხილება უცხოური ვალუტა და ანგარიშსწორება ხორციელდება ექვივალენტი ლარში საქონლის მიწოდების ფასს განსაზღვრავს ფაქტიურად ანაზღაურებული ლარი.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სელმან ჭელიძე

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გაჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებისა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სელმან ჭელიძე

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ამორტიზაცია არ ერიცხება მიწას, ხელოვნების ნიმუშებს, სამუზეუმო ექსპონატებს, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებს (გარდა შენობა-ნაგებობებისა) და სხვა არაამორტიზებად აქტივებს. ამასთანავე, ამორტიზაცია არ ერიცხება 1000 ლარამდე ღირებულების ძირითად საშუალებას და ბიოლოგიურ აქტივს. 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალება მთლიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც იგი ექსპლუატაციაში გადაეცა, ხოლო ბიოლოგიურ აქტივზე გაწეული ხარჯი გამოიქვითება იმ საანგარიშო წელს, როდესაც იგი ფაქტობრივად იქნა გაწეული.

ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ძირითადი საშვალეების და არამატერიალური აქტივების საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობა გამოიანგარიშება საგადასახადო წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსიდან. ძირითადი საშუალებები, რომლებიც ამორტიზაციას ექვემდებარება, ჯგუფდება ამორტიზაციის შემდეგი ნორმების მიხედვით:

დირექტორი

სელმან ჭელიძე

მთავარი ბუღალტერი

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებები	ამორტიზაციის ნორმა (%)
შენობა-ნაგებობები	5%
მსუბუქი ავტომობილები; ავტოსატრავიკო ტექნიკა გზებზე გამოსაყენებლად; ავეჯი ოფისისათვის; საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა; სატვირთო ავტომობილები, ავტობუსები, სპეციალური ავტომობილები და ავტომისაბმელები; მანქანები და მოწყობილობა მრეწველობის ყველა დარგისათვის, სამსხმელო წარმოებისათვის; სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობა; სამშენებლო მოწყობილობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა	15-20%
სპეციალური ინსტრუმენტები, ინვენტარი და მოწყობილობა; კომპიუტერები, მონაცემთა დამუშავების პერიფერიული მოწყობილობები და აღჭურვილობა; ელექტრონული მოწყობილობა.	15-20%
სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებები; ძაღვანი მანქანები და მოწყობილობა; თბოტექნიკური მოწყობილობა, ტურბინული მოწყობილობა, ელექტროძრავები და დიზელგენერატორები, ელექტროგადამცემისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობები; მილსადენები.	8%
ამორტიზებადი აქტივები, რომლებიც შეტანილი არ არის სხვა ჯგუფებში	15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი დასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებული იქნა შესაბამისი ამონაგები.

დირექტორი

სელმან ჭელიძე

მთავარი ბუღალტერი

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშვალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსური იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადახდილი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის (ხელშეკრულების ვადის) განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივი ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის ან აქტივების ჯგუფის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებული შეფასებული სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის ან

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სელმან ჭელიძე

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

მსგავსი აქტივების ჯგუფის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიანი გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დამქირავებლის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, თარიღისთვის.

ყველა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობა, წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სელმან ჭელიძე

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპის გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსთვის მოგებით გადასახადით დაბეგვრის ობიექტი: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურება გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილი ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობით ხარჯები.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გადახდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს.

საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელი დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას. 2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ

დირექტორი

სელმან ჭელიძე

მთავარი ბუღალტერი

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

4. ძირითად დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შედეგად. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენ ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმო აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილებას ასახავ, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შემქნის მომენტში გადახდილი (გადასახდელი):

I. მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის იურდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე.

II. ნებისმიერი დანახარჯი რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდ მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

დირექტორი

სელმან ჭელიძე

მთავარი ბუღალტერი

ჯემალ ბერიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალიგატორი ი.ს.“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

III. აქტივის დემონტაჟს, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რიის ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელი გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურებული ზარალის აღიარება

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც დაკორექტირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში:

	კორექტირებული 2020 წლის ანგარიშგებაში ლარი	წინა წლის აუდირებული მონაცემების კორექტირება ლარი	თავდაპირველი წარდგენა ლარი
აქტივები			
მარაგები	2,410,727.00	2.00	2,410,725.00
ძირითადი საშუალებები	24,648.00	330.00	24,318.00
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	21,798.00	293.00	21,505.00
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	2,390,587.00	39.00	2,390,548.00

6. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 23 სექტემბერს.

შპს „ალიგატორი ი.ს.“

დირექტორი:

სელმან ჭელიძე

მთავარი ბუღალტერი:

ჯემალ ბერიძე

დირექტორი

სელმან ჭელიძე

მთავარი ბუღალტერი

ჯემალ ბერიძე